საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 18 აპრილი, 2019წ

ბრძანება №01-02/55

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომის შემდგომი განათლების სარეზიდენტო პროგრამებზე: საექიმო სუბსპეციალობის პროგრამის ,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია'' და სპეციალიზაციის კურსის პროგრამა ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია'' მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის (№02/67885 31.10.2017წ.) წერილის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მ. ბაქრაძის 18/04/2019წ. №446983 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მისაღები კონკურსი ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომის შემდგომი განათლების სარეზიდენტო პროგრამების: საექიმო სუბსპეციალობის პროგრამის ,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია'', სპეციალიზაციის კურსის პროგრამა ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" მიღების მიზნით.

2. კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2019 წლის 18 აპრილიდან 2019 წლის 24 აპრილის ჩათვლით 10სთ–დან 17სთ–მდე.

3. სარეზიდენტო, გადამზადებისა და სპეციალიზაციის პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს აკრედიტაციით დადგენილი კვოტის ფარგლებში:
   ა) სპეციალიზაციის პროგრამაზე - ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" (კვოტა - 3 ადგილი);
   ბ)სუბსპეციალობის პროგრამა - ,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია" (კვოტა - 3)

4. კონკურსანტთა რაოდენობა თუკი, გადააჭარბებს მისაღებ ადგილებს, საუკეთესო გამოვლინდეს შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. გამარჯვებული კონკურსანტების შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონკურსის შედეგების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

7. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30)

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**